(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის აღწერა - ბანკის სვიპი

1. შესავალი

DriveWealth გთავაზობთ ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამას, „თავისუფალი საკრედიტო ბალანსის“[1] ავტომატურ ინვესტირებას, ანუ „სვიპისთვის“ თქვენი დასაშვები DriveWealth საბროკერო ანგარიშიდან (ანგარიშებიდან), ლიკვიდურ დაბანდებაში, რომელმაც შესაძლოა მოგიტანოთ საპროცენტო სარგებელი, სანამ თქვენ მიიღებთ გადაწყვეტილებას, თუ როგორ დააბანდოთ ეს თანხები უფრო ხანგრძლივად. წინამდებარე დოკუმენტი აღწერს DriveWealth-ის ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამას და მოგაწვდით მნიშვნელოვან ინფორმაციას მისი თითოეული ელემენტის შესახებ.

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ეს დოკუმენტი და შეინახოთ ეგზემპლარი თქვენს ჩანაწერებში.

ამჟამად, DriveWealth მეშვეობით ხელმისაწვდომია შემდეგი ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამები:

(1) ფუნქცია “**FDIC Bank Sweep**” ავტომატურად გადაიტანს თქვენს თავისუფალ საკრედიტო ბალანსს პროცენტიან სადეპოზიტო ანგარიშზე, ჩვენს შესაბამის პროგრამის ბანკში (ბანკებში).

1. პროგრამაზე დაშვების მონიტორინგის პასუხისმგებლობა

DriveWealth წერილობით გაცნობებთ ფულადი სახსრების მენეჯმენტის ახალი პროგრამების და შემოთავაზებული პროგრამების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. თქვენს პასუხისმგებლობაში შედის განახორციელოთ იმის მონიტორინგი, თუ რამდენად დასაშვები ხართ DriveWealth-ის ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამისთვის.

2. შემოსავლები და სარგებელი

DriveWealth ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამები არაა გათვალისწინებული გრძელვადიანი ინვესტიციებისთვის. თქვენ ასევე უნდა განიხილოთ უფრო მაღალშემოსავლიანი ალტერნატივები თქვენი სახსრებისთვის, რომლებიც დაუყოვნებლივ საჭირო არაა საინვესტიციო მიზნებისთვის, რამდენადაც სარგებელი ჩვენი ნებისმიერი ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამიდან შეიძლება უფრო მცირე იყოს, ვიდრე სხვა მსგავსი ინვესტიციებიდან ან სადეპოზიტო ანგარიშებიდან, რომლებსაც სთავაზობენ DriveWealth ფარგლებს გარეთ.

---

[1] ტერმინი „თავისუფალი საკრედიტო ბალანსი“ ნიშნავს თანხას თქვენს ანგარიშზე, რომელიც არ არის ინვესტირებული, მინუს (i) თანხები, რომლებიც საჭიროა შესყიდვის ტრანზაქციებისთვის, ვალდებულებების შესასრულებლად, მას შემდეგ, რაც თანხები დასაშვები გახდება ფულის ფუნქციაში გადასაყვანად; (ii) თქვენს ანგარიშზე დარიცხული გადასახდელები; (iii) საკრედიტო ნაშთები, რომლებიც განკუთვნილია თქვენი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. „ბიზნეს დღე“ არის ნებისმიერი დღე, როდესაც მუშაობს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა და ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი. (მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ოფისები შეიძლება მუშაობდეს ზოგიერთ საბანკო გამოსასვლელ დღეებში, ეს დღეები არ ჩაითვლება ბიზნეს დღეებად, თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებული მიზნებისთვის.)

3. დასაშვებობა

ზოგადოდ, DriveWealth ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამებზე დაშვებას საფუძვლად უდევს ანგარიშის მფლობელობა და შესაბამისი კანონები და ნორმატივები. ფულადი სახსრების მენეჯმენტის ნებისმიერი პროგრამის დაშვების მოთხოვნები შეიძლება შეიცვალოს; DriveWealth წინასწარ გაცნობებთ, თუ დაშვების რომელიმე მოთხოვნების ცვლილებები შეეხება თქვენს ანგარიშს.

DriveWealth ფარგლებში შექმნილი ყველა ანგარიში დასაშვებია **FDIC Bank Sweep**-სთვის. DriveWealth-ის ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამა წინასწარ შეთანხმებით განსაზღვრავს **FDIC Bank Sweep-ს,** როგორც თქვენი ანგარიშისთვის გაკეთებულ არჩვანს. ანგარიშის გახსნით თქვენ ეთანხმებით თქვენი თავისუფალი საკრედიტო ბალანსების გადატანას FDIC Bank Sweep-ის შესაბამისად. ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამების ხელმისაწვდომობა შეიძლება იცვლებოდეს, იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობთ და რა ურთიერთობა აქვს DriveWealth-ს თქვენს წარმომდგენ ბროკერთან ან მრჩეველთან.

DriveWealth-ს შეუძლია, საკუთარი შეხედულებებისამებრ, თქვენი წინასწარ ინფორმირების გარეშე, შეაჩეროს ან შეწყვიტოს თქვენი ანგარიშის მონაწილეობა ფულადი სახსრების მენეჯმენტის კონკრეტულ პროგრამაში. თუ თქვენ დახურავთ ანგარიშს, ნებისმიერი მიზეზით, ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამაში თქვენი მონაწილეობა ავტომატურად შეწყდება და უკან დაგიბრუნდებათ თავისუფალი საკრედიტო ბალანსები, რომლებიც ფულადი სახსრების მენეჯმენტის ასეთ შესაბამის პროგრამაში იყო გადატანილი.

4. ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის ცვლილებები

თქვენთვის გასაგებია და თქვენ თანახმა ხართ, რომ DriveWealth-ს შეუძლია: (i) შეიტანოს ცვლილებები ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამაში; (ii) შეიტანოს ცვლილებები ფულადი სახსრების მენეჯმენტის ნებისმიერ პროგრამაში; (iii) ფულადი სახსრების მენეჯმენტის ნებისმიერ პროგრამაში ცვლილებების, დამატებების შეტანა ან მისი შეწყვეტა; (iv) თქვენი ინვესტიციების ფორმის შეცვლა, ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამიდან სხვა პროგრამაზე, თუ თქვენი ანგარიში აღარ იქნება დასაშვები თქვენი ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამისთვის, ან თქვენი ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამა შეწყდება; და (v) შეიტანოს ნებისმიერი სხვა ცვლილებები ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამაში, როგორც ნებადართულია შესაბამისი კანონებით და ნორმატივებით. DriveWealth წერილობით გაცნობებთ ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის პირობების ცვლილების შესახებ, მათ შორის, ხელმისაწვდომი პროგრამის შესახებ, გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლის დღემდე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, რომ თქვენი ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამა შეიცვლება სხვა ხელმისაწვდომი პროგრამით, თქვენ თანახმა ხართ გვიპასუხოთ შეტყობინებაში მითითებული წესით და ვადაში. თუ არ გვიპასუხებთ შეტყობინებაში მითითებული წესით და ვადაში, ჩვენ ეს შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც თქვენი თანხმობა, მიიღოთ ახალი პროგრამა. თქვენი ავტორიზაცია ძალაში დარჩება, სანამ ჩვენ არ მივიღებთ თქვენს შეტყობინებას საწინააღმდეგოს შესახებ.

5. პროგრამა FDIC BANK SWEEP (FDIC-ის ბანკის SWEEP პროგრამა)

a. პროგრამის აღწერა. FDIC Bank Sweep პროგრამა ავტომატურად გადარიცხავს თქვენს დასაშვებ თავისუფალ საკრედიტო ბალანსს პროცენტიან სადეპოზიტო ანგარიშზე („სადეპოზიტო ანგარიში“), ერთ ან მეტ მონაწილე ბანკში („პროგრამის ბანკი (ბანკები)“), თქვენ არ გექნებათ პირდაპირი ურთიერთობა, ანგარიშის ფორმით, პროგრამის ბანკებთან, თუ ასეთ ბანკში არ გექნებათ ცალკე ანგარიში, FDIC Bank Sweep პროგრამის ფარგლებს გარეთ. თითოეულ შემთხვევაში, თქვენი თანხები იქნება „ომნიბუსის“ ანგარიშზე, რომელიც გახსნილია “DriveWealth, LLC, როგორც აგენტის და შემნახველის სახელზე, ექსკლუზიურად მისი კლიენტების სასარგებლოდ.“ თქვენ გექნებათ ბენეფიციარული მფლობელობის წილი „ომნიბუსის“ ანგარიშზე, რომელიც ტოლი იქნება თქვენი თავისუფალი საკრედიტო ბალანსების თანხების ჯამის. DriveWealth აწარმოებს ჩანაწერებს თქვენს მფლობელობაში არსებული თანხების შესახებ; თქვენი პოზიცია პირდაპირ არ აისახება პროგრამის ბანკის ჩანაწერებში. საჭირო არაა მინიმალური დასაშვები თავისუფალი საკრედიტო ბალანსი, იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ FDIC Bank Sweep პროგრამაში და ასევე არ არის მოთხოვნა მიმდინარე მინიმალურ ბალანსთან დაკავშირებით. ასევე არ არის მინიმალური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც თქვენი დასაშვები თანხები უნდა დარჩეს პროგრამის ბანკის დეპოზიტზე, ასევე არ არის შეზღუდული თანხების გამოტანის რაოდენობა ან ჯამური გამოსატანი თანხა, რომელიც DriveWealth-მა შეიძლება განახორციელოს FDIC Bank Sweep პროგრამის ფარგლებში.

b. FDIC დაზღვეული ანგარიშები. FDIC Bank Sweep პროგრამა უზრუნველყოფს თქვენთვის დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის (“**FDIC**”) დაზღვევას.. FDIC დაზღვევა სარგებლობს შეერთებული შტატების მთავრობის სრული აღიარებით და ნდობით. FDIC დაზღვევა იცავს თქვენს დასაშვებ თანხებს პროგრამის ბანკში არსებულ დეპოზიტებზე, FDIC Bank Sweep ფარგლებში მაქსიმალურ ლიმიტამდე, იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ვერ შეასრულებს ვალდებულებებს. დეპოზიტის დაზღვევის სტანდარტული თანხაა ორას ორმოცდაათი აშშ დოლარი ($250,000 USD) ერთ დეპოზიტორზე, FDIC-დაზღვეულ ყოველ ბანკში, მფლობელობის ყოველ კატეგორიაზე, როდესაც დაჯამებულია ყველა სხვა დეპოზიტებთან ერთად, რომლებსაც თქვენ ფლობთ პროგრამის ბანკში, ანგარიშების მფლობელობის იმავე იურიდიულ კატეგორიაში. თანხები, რომლებიც შეტანილი გაქვთ დეპოზიტზე პროგრამის ბანკში, FDIC Bank Sweep პროგრამის ფარგლებს გარეთ, მხედველობაში არ მიიღება, იმის განსაზღვრისას, გადაირიცხოს თუ არა თქვენი დასაშვები თავისუფალი საკრედიტო ბალანსი პროგრამის ბანკში (ბანკებში). **თქვენ ერთპიროვნულად აგებთ პასუხს იმ ჯამური თანხის მონიტორინგზე, რომელიც თქვენ გაქვთ დეპოზიტზე, პროგრამის ბანკში (ბანკებში) FDIC დაზღვევის ლიმიტებთან კავშირში.** <u>თქვენი ინდივიდუალური ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, FDIC-ის სადაზღვევო დაფარვა შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს დამატებითი თანხებისთვისაც.. *იხ.* დამატებითი ინფორმაცია FDIC რეზუმეში, ამ დოკუმენტის ბოლოს.</u>

c. ფასიანი ქაღალდების ინვესტორის დაცვის კორპორაცია (“SIPC”). SIPC არის არაკომერციული წევრი კორპორაცია, რომელიც ფინანსდება, პირველ რიგში, ფასიანი ქაღალდების საბროკერო წევრი ფირმების მიერ, რომლებიც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების და ბირჟის კომისიაში. SIPC ფარავს შენახვასთან დაკავშირებულ დანაკარგებს და არა ინვესტიციებთან დაკავშირებულ ზარალს, როგორიცაა ინვესტიციის საბაზრო ღირებულების შემცირება. DriveWealth არის SIPC-ის წევრი. დასაშვები

თავისუფალი საკრედიტო ბალანსები FDIC Bank Sweep პროგრამაში არ არის გადაფარული/დაზღვეული SIPC მიერ.

d. თქვენი პასუხისმგებლობა. არც DriveWealth და არც პროგრამის ბანკები არ აგებენ პასუხს FDIC დაზღვევის ლიმიტების მონიტორინგზე და არც რეკომენდაციებზე, თქვენი თავისუფალი საკრედიტო ბალანსისთვის ხელმისაწვდომი ინვესტირების ალტერნატივების თაობაზე. თქვენ უნდა დაუკავშირდეთ თქვენს წარმომდგენ ბროკერს ან საინვესტიციო კონსულტანტს, თუ გექნებათ შეკითხვები ინვესტიციებთან დაკავშირებით.

e. დეპოზიტები. FDIC Bank Sweep პროგრამაში მონაწილეობით თქვენ უფლებამოსილებას ანიჭებთ DriveWealth-ს ავტომატურად გადარიცხოს თქვენი დასაშვები თავისუფალი საკრედიტო ბალანსები პროგრამის ბანკში, ყოველი ბიზნეს დღის ბოლოს.[2]

f. თანხების გამოტანა და მათთან წვდომა. FDIC Bank Sweep პროგრამაში მონაწილეობით, თქვენ უფლებამოსილებას ანიჭებთ DriveWealth-ს, ავტომატურად გამოიტანოს პროგრამის ბანკში თქვენს დეპოზიტზე არსებული თანხები, საჭიროებისამებრ, იმისათვის, რომ დაფაროს დავალიანება თქვენს ანგარიშზე, შეაჯეროს/შესაბამისობაში მოიყვანოს შესყიდვის გარიგებები თქვენს ანგარიშზე ან, თუ სათანადოა, გამოიყენოს, როგორც საჭირო უზრუნველყოფა, თქვენი მარჟინალური (margin) ანგარიშისთვის, ნებისმიერ დროს. თქვენთვის გასაგებია, რომ თქვენ არ შეგიძლიათ თქვენი თანხების გამოტანა უშუალოდ პროგრამის ბანკიდან; ყველა თანხის გამოტანა ხორციელდება თქვენი ანგარიშის მეშვეობით და, როგორც FDIC Bank Sweep პროგრამის ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ბანკი ვერ შეასრულებს ვალდებულებებს, შეიძლება იყოს გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც თქვენ არ გექნებათ წვდომა დეპოზიტზე არსებულ თქვენს თანხებთან.

g. ამონაწერები. FDIC Bank Sweep ყველა ტრანზაქცია აისახება თქვენს პერიოდულ ამონაწერში, ცალკე დადასტურების სანაცვლოდ. <u>თქვენ არ მიიღებთ ცალკე ამონაწერებს პროგრამის ბანკებისგან.</u>

h. პროგრამის ბანკის ინფორმაცია. DriveWealth-ის FDIC Bank Sweep სარგებლობს შემდეგი ბანკების მომსახურებით: Texas Capital Bank, N.A. პროგრამის თითოეული ბანკი არის ფედერალური შემნახველი ბანკი და FDIC-დაზღვეული სადეპოზიტო ინსტიტუტი. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროგრამის თითოეული ბანკის შესახებ, FDIC-ის ვებსაიტზე: fdic.gov. ან თუ დაუკავშირდებით FDIC-ის ინფორმაციის და კვლევის განყოფილებას: დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია, ინფორმაციის და კვლევის განყოფილება, 550 17th Street, NW, Washington, DC 20429-9990; ან თუ დარეკავთ FDIC-ის ინფორმაციის და კვლევის განყოფილებაში, ნომერზე: 877-275-3342. DriveWealth არ იძლევა გარანტიებს პროგრამის ბანკის ფინანსურ პირობებთან დაკავშირებით ან პროგრამის ბანკის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით. თავისუფალი საკრედიტო ბალანსები, რომლებიც ჩრთულია FDIC Bank Sweep, წარმოადგენს პროგრამის ბანკის უშუალო ვალდებულებას და არა DriveWealth ან მისი ფილიალების პირდაპირ თუ

---

[2] „ბიზნეს დღე“ არის ნებისმიერი დღე, როდესაც მუშაობს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა და ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი. მიუხედავად იმისა, რომ DriveWealth-ის ოფისები შეიძლება მუშაობდეს ზოგიერთ საბანკო გამოსასვლელ დღეებში, ეს დღეები არ ჩაითვლება ბიზნეს დღეებად, ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის ფარგლებში თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებული მიზნებისთვის.

არაპირდაპირ ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი თანხები წარმოადგენს პროგრამის ბანკის პირდაპირ ვალდებულებას, DriveWealth ინახავს თქვენი მფლობელობის მტკიცებულებას მის, როგორც თქვენი ანგარიშის შემნახველის ჩანაწერებში. თქვენ არ მიიღებთ მფლობელობის ცალკე მტკიცებულებას ბანკისგან.

<u>i. საპროცენტო განაკვეთები</u>. თავისუფალი საკრედიტო ბალანსების ნაშთებზე, რომლებიც პროგრამის ბანკის დეპოზიტებზეა, პროცენტები დაირიცხება ყოველდღიურად. პროცენტებში ანგარიშებზე ჩაირიცხება და გაიცემა პროგრამის ბანკის მიერ, ყოველი თვის ბოლოს, იმ დღეს, როცა დაიხურება თქვენი ანგარიში, ან როცა თქვენ გამოიტანთ დასაშვებ თავისუფალ საკრედიტო ბალანსს FDIC Bank Sweep. პროცენტების დარიცხვა დაიწყება იმ დღეს, როდესაც თქვენი თანხები ჩაირიცხება პროგრამის ბანკში და დაირიცხება იმ დღემდე, როცა თქვენ გამოიტანთ თანხებს, გამოტანის დღის გამოკლებით. საპროცენტო განაკვეთი, თქვენს თავისუფალ საკრედიტო ბალანსებზე, FDIC Bank Sweep ფარგლებში, შეიძლება შეიცვალოს და ექვემდებარება ცვლილებას ნებისმიერ დროს, შეტყობინების გარეშე. DriveWealth-ს, საკუთარი შეხედულებებისამებრ, შეუძლია გადაწყვიტოს გაგიყოთ ან არ გაგიყოთ FDIC Bank Sweep ფარგლებში დარიცხული პროცენტები. თქვენთვის გადახდილი პროცენტების თანხა და შესაბამისი შემოსავლის განაკვეთი აისახება თქვენს ამონაწერში. თქვენ შეიძლება მიიღოთ უფრო მაღალი ან დაბალი საპროცენტო განაკვეთი FDIC ბანკის Bank Sweep ფარგლებში, სხვა ალტერნატიულ Sweep პროგრამებთან შედარებით.

<u>j. ინტერესების კონფლიქტი.</u> DriveWealth შეუძლია მიიღოს მომსახურების საფასური, პროგრამის ბანკებში განთავსებული თანხების საფუძველზე, FDIC Bank Sweep მეშვეობით. DriveWealth შეუძლია მიიღოს უფრო მაღალი მომსახურების საფასური, თუ თქვენ მონაწილეობთ FDIC Bank Sweep, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აირჩევთ Sweep პროგრამის სხვა ალტერნატივას, როგორიცაა მოკლევადიანი ინსტრუმენტების ბაზრის Sweep პროგრამა (Money Market Sweep). პროგრამის ბანკებში შეტანილი დეპოზიტები შეიძლება გამოყენებულ იქნას ასეთი ბანკების მიერ, მათი საინვესტიციო სასესხო და სხვა საქმიანობის მხარდაჭერისთვის. პროგრამის ბანკებს შეუძლიათ მიიღონ მნიშნელოვანი დეპოზიტები FDIC Bank Sweep-is ფასად, რომელიც შეიძლება ნაკლები იყოს, დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებთან შედარებით. ბანკში, „ომნიბუსის“ ანგარიშზე არსებული თანხები წარმოადგენს სტაბილური დაფინანსების წყაროს ბანკისთვის.

FDIC რეზიუმე

<u>რა არის FDIC?</u>

- FDIC არის დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კომპანია - შეერთებული შტატების მთავრობის დამოუკიდებელი სააგენტო. FDIC ყველა დაზღვეული დეპოზიტი გამყარებულია შეერთებული შტატების მთავრობის სრული აღიარებით და ნდობით.
- FDIC ფარავს დაზღვეულ ბანკებს, რომლებიც მდებარეობს შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და იცავს ინდივიდუალურ დეპოზიტორებს და ბანკში განთავსებულ თანხებს, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ბანკი ვერ შეასრულებს ვალდებულებებს.
- FDIC დაზღვევა უზრუნველყოფილია ყველა პირისთვის, რომლებსაც აქვთ დეპოზიტები FDIC დაზღვეულ ბანკებში, აუცილებელი არაა, რომ პირი შეერთებული შტატების მოქალაქე ან რეზიდენტი იყოს, იმისთვის, რომ ჰქონდეს FDIC მიერ დაზღვეული დეპოზიტი.

FDIC დაზღვევის გადაფარვა

- კლიენტების დეპოზიტების დაზღვევა FDIC-ის მისიის ღერძია. FDIC აზღვევს კლიენტების დეპოზიტებს FDIC-ის თითოეულ დაზღვეულ ბანკში, დოლარს დოლარით, მათ შორის, ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტების ჩათვლით, ბანკის დახურვის დღის ჩათვლით, შესაბამისი დაზღვევის ფარგლებში.
- FDIC დაზღვევა ფარავს დაზღვეული ბანკის მიერ მიღებულ დეპოზიტებს. ის არ ფარავს ინვესტიციებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი შეძენილია დაზღვეულ ბანკში.
- დეპოზიტის დაზღვევის სტანდარტული თანხაა ორას ორმოცდაათი აშშ დოლარი ($250,000 USD) ერთ დეპოზიტორზე, FDIC-ში დაზღვეულ ყოველ ბანკში, მფლობელობის ყოველ კატეგორიაზე.

მფლობელობის კატეგორიები. FDIC დაზღვევა, თუ უზრუნველყოფილია, მფლობელთა შემდეგი კატეგორიებისთვის.

მფლობელობის კატეგორია	გადაფარვის ლიმიტი
ერთიანი ანგარიში - სადეპოზიტო ანგარიში, რომელსაც ფლობს ერთი პირი, დასახელებული ბენეფიციარების გარეშე - ანგარიში, რომელიც გახსნილია აგენტის ან შემნახველის მიერ, მხოლოდ ერთი პირისთვის, როგორიცაა ანგარიშები, შექმნილი არასრულწლოვანთათვის უნიფიცირებული გადარიცხვების შესახებ აქტის ფარგლებში - ბიზნეს ანგარიში ინდივიდუალური მეწარმეობისთვის, ანგარიში, რომელიც წარმოადგენს გარდაცვლილი პირის ფონდებს	250,000 აშშ დოლარი ერთ მფლობელზე
გარკვეული სპენსიო ანგარიშები - ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები (IRA) - თვით-მართული განსაზღვრული შენატანების სქემები, როგორიცაა 401k ან მოგების გაყოფის სქემა - თვით-მართული კეოგის სქემის ანგარიში	250,000 აშშ დოლარი ერთ მფლობელზე
ერთობლივი ანგარიშებისთვის - ანგარიშების ყველა მფლობელი უნდა იყოს ცოცხალი, ჰქონდეს თანაბარი უფლებები, გამოიტანოს თანხები, ხელმოწერილი (ან ელექტრონულად ხელმოწერილი) უნდა ჰქონდეს სადეპოზიტო ანგარიშის ხელმოწერის ბარათი	250,000 აშშ დოლარი ერთ თანამფლობელზე

გამოთხოვნადი სატრასტო ფონდის ანგარიში*	250,000 აშშ დოლარი მფლობელის დაზღვევა თითოეულ უნიკალურ განსაზღვრულ ბენეფიციარზე
არაგამოთხოვნადი სატრასტო ფონდის ანგარიში*	250,000 აშშ დოლარი სატრასტო ფონდისთვის - ხელმისაწვდომია უფრო მეტი დაფარვა, თუ დაკმაყოფილებულია მოთხოვნები
თანამშრომლების შეღავათების სქემის ანგარიში*	250,000 აშშ დოლარი არა-გაუთვალისწინებელი პროცენტებისთვის, სქემის თითოეული მონაწილისთვის
კორპორაციის, პარტნიორობის ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ასოციაციის ანგარიში *	250,000 აშშ დოლარი ერთ კორპორაციაზე, პარტნიორობაზე ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ასოციაციაზე
სახელმწიფოს ანგარიში*	250,000 აშშ დოლარი ყოველ ოფიციალურ შემნახველზე (ქასთოდიანზე)

*ანგარიშის ტიპი, რომლის მხარდაჭერასაც არ ითვალისწინებს DriveWealth.

ერთიანი ანგარიში. თუ თქვენი ანგარიში ერთიანი ანგარიშია, FDIC გააერთიანებს თქვენს მფლობელობაში არსებულ ყველა ანგარიშს და დააზღვევს ასეთ ანგარიშებს 250,000 აშშ დოლარის გადაფარვის ლიმიტამდე.

მაგალითად: თუ თქვენ გაქვთ ერთი საბროკერო ანგარიში 100,000 აშშ დოლარის ოდენობის თავისუფალ საკრედიტო ბალანსით, რომელიც გადატანილია (swept)A ბანკში, მეორე საბროკერო ანგარიში 75,000 აშშ დოლარის ოდენობის თავისუფალ საკრედიტო ბალანსით, რომელიც ასევე გადატანილია (swept) A ბანკში, და 90,000 აშშ დოლარი ასევე A ბანკის მიმდინარე ანგარიშზე, თუმცა FDIC Bank Sweep პროგრამის ფარგლებს მიღმა, მაშინ თქვენი კუთვნილი 265,000 აშშ დოლარიდან FDIC დააზღვევს მხოლოდ 250,000 დოლარს.

FDIC დეპოზიტების დაზღვევის აქ მოყვანილი კანონები და ნორმატივები არ არის გათვალისწინებული, როგორც შესაბამისი კანონების და FDIC წესების და ინტერპრეტაციების სრული ფორმულირება. შესაბამისი კანონები და FDIC რეგულაციები და ინტერპრეტაციები დრო და დრო შეიძლება შეიცვალოს და გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ამოქმედდეს დამატებითი პირობები, რომლებიც აქ არაა აღწერილი. თქვენ უნდა განიხილოთ თქვენს ადვოკატთან/იურისტთან თქვენს ანგარიშთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები, მათ შორის, შესაბამისი FDIC დაღთვევის ლიმიტები და წესების ინტერპრეტაცია. თქვენ ასევე შეგიძლიათ მოგწეროთ მისამართზე: FDIC მომხმარებლების საქმეთა ოფისი, 550 17th Street, N.W., Washington, D.C. 20429. დამატებითი ინფორმაციის

მისაღებად ასევე სასურველია, რომ გაეცნოთ FDIC ხშირად დასმულ შეკითხვებს მისამართზე: www.fdic.gov.